

**2021 წლის 08 აპრილის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 56 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (NAT 210003628), შეთანხმება N 56/1**

ქალაქი ფოთი

„07“ ივლისი, 2021 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „მ-პროექტი“, შემდეგში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა შიშინაშვილის სახით ვთანხმდებით, 2021 წლის 08 აპრილს, გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 56 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე:

**2021 წლის 08 აპრილის, N 56 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის სამართლებრივი საფუძველი:**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური (2021 წლის 06 ივლისის, წერილი: N 03-4221187122) ითხოვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულების შეკეთებას) საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების, ექსპერტიზით შესყიდვის, მიზნით 2021 წლის 08 აპრილს, გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 56 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის 08 აპრილის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 56 ხელშეკრულების მე-15 მუხლის საფუძველზე შევთანხმდით:

1. შეიცვალოს, 2021 წლის 08 აპრილის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 56 ხელშეკრულების მე-2 მუხლის, პირველი პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 89 755,42 (ოთხმოცდაცხრაათასშვიდასორმოდათხუთმეტი ლარი და 42 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით“.
2. წინამდებარე შეთანხმება, წარმოადგენს 2021 წლის 08 აპრილის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 56 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მოქმედებს მასთან ერთად, განიხილება მასთან მთლიანობაში და მასზე ვრცელდება ყველა ის მუხლი, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში.
3. ნებისმიერი დამატების ან ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით, სათანადოდ ხელმოწერილი, მხარეთა მიერ.
4. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომელსაც ცვლილება არ შეეხება დარჩეს უცვლელი.
5. მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტი:

**„შემსყიდველი“**

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი**

ს/კოდი 215138143,

ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12,

**„მიმწოდებელი“**

**შპს „მ-პროექტი“**

ს/კოდი 412710963,

ქალაქი თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N 117დ.

კორპ. საოფისე ფართი N 125

სს „თი ბი სი ბანკი“, ბ/კ TBCBGE22,

ა/ნ GE35TB7970836080100006.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი  
გოჩა კურდღელია

დირექტორი  
ზაზა შიშინაშვილი



წერილის ნომერი: 03-4221187122  
თარიღი: 06/07/2021

ადრესატი:

გონა კურდღელია  
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

**მოხსენებითი ბარათი**

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 08 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N56 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 210003628) საფუძველზე შპს „მ-პროექტი“-ის მიერ შედგენილ იქნა (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 04 მაისის N42-422112437 წერილზე თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზით კერძოდ:

1. რუსთავის ქუჩის რეაბილიტაციის;
2. ჭავჭავაძის მე-4 ჩიხის რეაბილიტაციის;
3. გოგოლის ქუჩის რეაბილიტაციის;
4. ბელინსკის ქუჩის რეაბილიტაციის;
5. ქობულეთის ჩიხის რეაბილიტაციის;
6. ქობულეთის ქუჩის რეაბილიტაციის;
7. ღვინჯილია ქუჩის რეაბილიტაციის;
8. ცხადაიას ქუჩის რეაბილიტაციის;
9. საფეხბურთო ცენტრის წინ არსებული ტერიტორიისა და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების;
10. უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაციის;
11. წმინდა ნინოს ქუჩის რეაბილიტაციის;
12. ნიკოლაძის სანაპიროს რეაბილიტაციის;
13. ბარათაშვილის ქუჩის გაგრძელება მალთაყვის სანაპირო ზოლამდე რეაბილიტაციის;
14. სერგი დანელიას ქუჩის რეაბილიტაციის;
15. კიკალეიშვილის ქუჩის რეაბილიტაციის;
16. ზერაგიას ქუჩის რეაბილიტაციის;
17. მემედ აბაშიძის ქუჩა- კლდიაშვილის ქუჩიდან N41 საცხოვრებელი სახლის ეზოს ჩათვლით რეაბილიტაციის;
18. ფაზისის ქუჩის განათების.

შპს „მ-პროექტი“-ს მიერ შედგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჯამურმა ღირებულებამ ხელშეკრულების პირობების თანახმად, ნაცვლად 13 558 631 ლარისა შეადგინა 15 204 896,28 ლარი, რაც 1 646 265,28 ლარით მეტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, დაავალოთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურს შეიტანოს ცვლილება 2021 წლის 08 აპრილის N56 ხელშეკრულებაში მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით და სახელშეკრულებო ღირებულება ნაცვლად 81 595,84 ლარისა განისაზღვროს 89 755,42 ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

იაგორ რომანაშვილი

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური-ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი